

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნა-ზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редак-цію „Дროება“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით— 8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით— 8 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორზაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: სტრუქტურა რვა კაპი; გან-ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებ-ზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი აგვისტოს 1-დამ წლის დასაწყისამდე 4 მ. და 50 კ.

გამოვიდა №№ V და VI ჟურნალი «ნობათი»-სა.

რომელთაც ჟურნალის ხვედრი ვა-ლი არ შემოუტანიათ, ეს წიგნი არ ეგზავნებათ. (2—2)

გლახებისაგან მაჟულაის შამქანა

ჩვენს საადგილ-მამულა ბანკებში თბილისი, ივლისის 2-ს.

საფრანგეთის გამოჩენილ ისტორი-კოსს მიმღეს ერთს თავის თხზულე-ბაში «Le peuple» ხელაწერულადა აქვს აღწერილი, თუ რასა გრძობს მამულის პატრონი, როდესაც თავის მამულში შედის, განსაკუთრებით მკი-რე მამულის-პატრონი. იგი იცნობს ყოველს ხეს, ყოველ ბუჩქს, თითქმის ყოველ ბალახს, რომელიც კი მისის ოფლითა და ღვაწლით არის აღმო-ცენებული, იგი აღტაცებაში მოდის, როდესაც ბელტოს-ბელტოზედ გა-დააბრუნებს და თავის მაცხოვრებელი ნოტიო ღვინოს სულს განიცდის. საქმის დღით იგი განუწყვეტლად მუშაობს და უქმე ღლეც კი გული არ უთმენს, რომ თავის ბაღში მაინც არ გაისეირნოს, ხეს გამხმარი ქერქი არ შემოაცალოს, ჩამონგრეული ღობე

არ გაასწოროს, უაღაგო ალაგას ნაგ-დები ქვა სხვაგან არ მიაგდოს.

ღიდი მამულის პატრონს თავის მამუ-ლიწმირად მხოლოდ შემოსავლისათვის უყვარს; მის გულს ზღვასავეთ მღელე-რე ყანა მხარულებით არ ატოკებს, იგი ვერ შექმნის იმ მარტვის პოეზიას, რომელშიაც ცა და ღვინა-მიწა ერთ-მანეთს ეჯობებოდა და ამაყოფენ იმ სამსახურით, რა სამსახურსაც ადამი-ანის შვილს უწევს. ბლეს-კაცისათვის კი მიწაა წყარო ყოველ გვარის ხორ-ციელის და სულიერის ბედნიერებისა. იგი ღვინა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ასახრდოვებს და ულოლიავენს მას.

და აი, როდესაც დიდ მემამულეს ქამთა ვითარების და უწყალო ბედის მიმოტრიალის გამო მამული ხელიდამ ეცლება, ყველანი უნდა ეცადონ, ეს დიდი მამული ან მთელ სოფელს გა-დაეცეს საერთოდ მოსახმარებლად, ან წერილ-წერილად დაიკუწოს და ისე დაიკიდოს გლახ-კაცებ შორის. მს-ყველასათვის სასარგებლოა, როგორც გლახ-კაცობისათვის და თითონ დიდი მამულის პატრონთათვის, ისე მთელი სახელმწიფოსათვის. შევლანი მოგება-ში დარჩებიან, გარდა იმ პირთა, რომელნიც ყველგან სადალალო საქმეს დაეძებენ და თუ ყიდვა უნდათ მამუ-

«დროების» ძეგლტონი, აგვისტო 2.

ორი თვე სოფლად

(პროვინციალური მეფალეურის შენიშვნები) (შემდეგი *)

სადილზედვე გადაწყვიტეთ მთაში წასვლა. თ. იას. მ—ლმა სულით და გულით გვთხოვა ვწვევიყავით მას სახლ-ში სოფ. შურთას, საიდანაც ჩვენ წა-ვიდოდით მთაში, მსეთის იმ ნაწილ-ში, რომელიც შეადგენს თთ. მაჩაბ-ლების მამულ-ადგილს. ითქვა, გათაე-და.

მშენიერი სადამო იყო; ისე გრი-ლოდა, რომ იძულებულნი ვიყავით ზაფხულის პალტოები მაინც ჩაგვეცვა; მივდიოდით ორღობებზე, რომელიც გადახრდილულია ხე-ხილის ტყით; ეს მშენიერი ბუნება და ჰავა იზიდავდა ჩვენს მეფეებს და ბატონიშვილებს. ბუნების და ჰავის სიმშენიერის გარდა, ეს ხეობა უნდა მაგარი ყოფილიყოს და მტრისთვის შეუფალი, თუმცა კი ურიცხვით საქართველოს მტერთ არც

ეს გადაურჩათ თითქმის შეუმუსრავი. სხინვალს მუდამ ამაგრებდნ ჩვენი მეფეები, ამბობს ისტორიკოსი, მაგ-რამ ეხლა ქართველის თვალს წარმო-უდგება მხოლოდ ნაობრები ძველის სიმაგრისა. როგორც მაგარს ადგილს, ამიტომაც მოატანეს ამ ხეობას ჩვენმა ბატონიშვილებმა ბოლოს ქამს. ბა-ტონიშვილები იულონი და შარნაო-ში ფაქტობდნ ამ ხეობაში, ჩამო-ვიდნ თამარაშენში, სადაც თთ. მა-ჩაბლებს სთხოვდნ, რომ ოსები აე-ღელებინათ მათ სასარგებლოდ. უკ-ნასქნელი მათი მოსამართე ეს ადგი-ლი დარჩა, მაგრამ მარტო ეს ღამა-ში ადგილი რას უშველიდა. ამბობენ, რომ ბატონიშვილს იულონს გაგიჟე-ბით უყვარდაო სამაჩაბლო, ესე იგი სხინვალის ხეობა, და როდესაც იგი გაგზავნეს რუსეთში, ძალიან ხშირად იგონებდა ამ სააქაო სამოთხესაო. მითი თავადიშვილი თურმე დაბრუნ-და რუსეთით შინ და იულონმა თურ-მე დავედრა: სხინვალის ხეობას რომ დაჰხედო ზღუდრის სერიდამაო, არ დაგავიწყდეს მე მომიგონე, რომ ეგე-ბის ჩემმა სულმა აქ იგონოსო.

ლისა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ გამოჩინ, რისაც გამოჩინა შეიძ-ლება, ტყავი ვაძრონ მყიდვე-ლებსაც და მამულსაც, ერთი-ორად და ოთხად აიღონ მიცემული ფასი და შემდეგ გაღარიბებული და უნაყოფოდ გადაქცეული მამული მკირე ფასად როგორმე გაჰყიდონ.

ჩვენ ზემოდ საადგილ-მამულო ბან-კებზე ჩამოვადეთ ლაპარაკი და გეინ-ლოდა, რომ ეს საზოგადო აზრი გან-გვემარტა ამ ბანკების მოქმედების შე-საფერად. როგორცა ვთქვით, აღრე თუ გვიან, მრავალნი სოფლის მე-მამულენი იძულებულნი იქნებიან თა-ვიანთ მამულები ან თითონ დაჰყიდონ, ან ბანკს მიანდონ მათი გაყიდვა. ორ-თავ შემთხვევაში უფრო სასარგებლო იქნება ამ მამულის პატრონთათვის თავიანთ მამულს მყიდველები ისე გლახ-კაცებ შორის მოუწახონ, რად-გან, რასაც გლახ-კაცები მისცემენ სოფლის მამულში, იმდენს თავის ღლეში უცხო კაცი, ან მოვაქრე ვერ მისცემს, რადგან ამათაც გლახ-კაც-ებისათვის გადასაცემად უნდათ ეს მა-მული, რასაკვირველია, მოგებით. მა-შასადამე, დიდს მამულის პატრონმა, როდესაც საქმე საქაროდ გაუხდებო, ან გლახ-კაცები უნდა მონახოს და კერძოდ მათ მიჰყიდოს თავისი მამუ-ლი ბანკის ვალის გადატანით, ან ას-წავლოს, რომ შეუძლიანთ ვაჭრობა-ზე გამოცხადდნ და იქ იყიდონ. ბლახ-კაცებისათვისაც ამ გვარად მამულის ყიდვა ძალიან ადვილია,

რადგან მათ არ დასჭირდებათ ერთბა-შად ბევრის ნაღდის ფულის გაღება; საკმარისია, თუ ვაჭრობამდე ჰყიდუ-ლობდნ, ცოტა რომ წაუმატონ დაგი-რავებულ ფულს, ეს პატრონს მისცენ და ვალი თითონ იკისრონ, რომლი-სათვისაც თითქმის იმდენის შეტანა დასჭირდებათ ყოველ-წლივ, რასაც ჩვეულებრივ ღალად იხდიან და შემ-დეგში ეს იმედი მაინცა აქეთ, რომ მამული სრულ საკუთრებად დარჩებათ. ამას გარდა, ყოველ ნახევარ-წლიური გარდასახადით ისინი ცოტ-ცოტათი თავნასა სწყვეტენ და შეუძლიანთ აგ-რეთვე ნაწილ-ნაწილ, ჩვეულებრივის გარდასახადის გარდა, შემოიტანონ ხოლმე ბანკში ამავე ბანკის ბილეთე-ბი თავნაში და ათ-თუშინანი ბილეთი ათ-თუშინადე მიაღებინონ. ამის კვა-ლობაზედ მოაკლდება, რასაკვირვე-ლია, სარგებელსაც.

თუ მემამულემ ვერ მოახერხა კერ-ძოდ მიყიდვა მამულისა გლახ-კაცებისა-დმი ვაჭრობის დღემდე, იგივე უნდა ეცადოს, რომ ვაჭრობაზე მაინც გა-მოცხადდნ ან თითონ გლახ-კაცები, ან თუ სოფელი ჰყიდულობს, სოფ-ლისაგან მინდობილნი პირნი, რომ მამული სულ მკირე ფასად არ დარ-ჩეთ სრულიად უცხო პირთ, ყველგან და ყოველთვის სადალალოდ განმზა-დებულთ, რომელთაც იმის მეტი საქ-მე არა გააჩნიათ-რა, რომ მწარმოე-ბელთა და მომხმარებელთა შუამავ-ლად იყონ.

ამ გზით მამულის შეძენა გლახ-

მომგზავრემ. ჩვენს სხინვალში, სხევბრ, არა უშვავს-რა, მოიპოვება თითო-ორო-ლა გულ-შემბეჭკივარი კაცი.

როდესაც ჩვენ დაეუბირდაპირდით სოფელს საბა-წმინდას, ჩვენმა მასპინ-ძელმა, თ. ი. მ—მა, მიაშბო შემდე-გი ამბავი: მაჩაბლიანი ძველად საბა-წმინდაში მდგარან. შემდეგ ჩამოსუ-ლან თამარაშენში და შურთაში. მი-ზეში აი ეს იყოვო. ანენეის ხეობაზე მდგარა ერთი მძლავრი აზნაურშვილი ღოღლაძე. ამას ჰქონია მამითადი საღთისის მინდორში, სადაც წყალი არ არის. ძველ ღირბის მებატონეს, აზნაურს ღოღლაძეს, ექესი ვირით გა-უგზავნია ექესი მენდურთ, რომ საბა-წმინდიდამ ყინული ჩამოეტანათ მომ-კლებებისათვის. შეუნიშნავს მოსულნი ვირებით თ. მ—ბელს და უბძანებია—ხუთს კაცს და ვირს თავები დააყრევი-ნონ, მეექესეს აჰყიდონ და გაუგზავ-ნონ ბრიყეს აზნაურს, რომელიც გა-კანდიერდა და მაჩაბლის მამულიდამ ყინულის წაღება მოინდომა*). მძლავრ-

*) სოფ. საბა-წმინდაში არის საყინულე, რომელზედაც ვახუშტი ამბობს: „საბა-წმინ-და, მონასტერი, დიდ-ნაშენი; მის ზეით

*) იხილეთ „დროება“ № 166.



კაცს ხელსაც მისცემს და მოსახერხებელიც არის; მაგრამ არა ნაკლებად ადვილია მაშინ, როცა ვაჭრობის მოუხერხებლობის გამო, მამული ბანკს დარჩება. ამ შემთხვევაში ხშირად ბანკი იძულებულია ვაცემულ სესხს კიდევაც მოუკლოს და ისე მოიშოროს თავიდან დარჩენილი მამული. მს ზარალი მით უფრო მცირე იქნება, რაც ბანკის მმართველნი ადვილად მოახერხებენ დარჩენილი მამულის ახლო მცხოვრებ გლეხ-კაცების მიხმობას და ახსნას იმ სარგებლობისას, რა სარგებლობაც მოსდევს ბანკში მამულის ყიდვას.

ასე საქმის მოწყობა მით უფრო საძნელო არ არის, რომ რუსეთში საგლეხო ბანკები ამ გვარსავე აზრს მისდევენ და თუ ჩვენი საადგილ-მამული ბანკები შემოხსენებულ პროგრამას მიჰყვებიან, მათ შეუძლიანთ ჯერჯერობით საგლეხო ბანკების მაგიერობა გასწიონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში საქირაა მთავრობის დახმარება, რომ გლეხ-კაცებს გაუადვილოს ის მეტის-მეტი ხარჯი, რომელიც მოსდევს ჩვენში მამულის შექმნას, თვით სულ მცირე მამულისასაც.

ჩვენ გვგონია, რომ ამ გვარად წაყვანა დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანას, ააცილებს სოფლებს ეხლან მათზედ კალიასავით მისეულ უცხოელებსა და მოვაჭრეებს და გამართლებს იმ პრაქტიკულს ანდაზას: „ლოჟმა რომ გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“.

შინაური ძროხისა.

სოხუმშიდამ გვატყობინებენ, რომ იქაური მსმალეთის კონსული, რომელიც ამ ერთი წლის წინად მისულა იქ, თავის ამალით სამის თვის წინად

მა აზნაურმა დაიმარხა გულში შური, რომელიც უცდიდა დროს, რომ ბრავად გახეთქილიყო. შეჭრიბა საეგო, აასხა იარაღი და აღდგომა ღამეს, როდესაც ლიტონიას უვლიდნ და მთელი საბა-წმინდა, რასაკვირველია; იქ იყო, თურმე დაეცა მძინვარე ღოღლაძე სოფ. საბა-წმინდას და ყველანი მოსრნა. ლალამ თურმე გადაარჩინა ერთი აკენის ბავში მახაბლისა. აღიზარდა იგი მსეთში. მრთხელ ოსებით დაესწრო ომში და ძალიან ვაჟკაცობა აღმოიჩინა. მეფემ ომის დროს დიდი უურადლება მიაკცია მას, მოიხმო თავისთან და გამოაჰკითხა ვინაობა. მანაც მოახსენა

არს აღმოსავლეთისკენ უდაბნო მაღალს კლდეა შინა, გამოკვეთილი ქვაბნი ეკლესიით... აქ არს ვარკალი (საყინუდე), სადაცა ზამთარ დნების თოვლი, ხოლო ზაფხულს ჭყინავს, და ხმარობენ ზაფხულს. გვ. 254. დაწვრილებით ავწერდი ამ შესანიშნავ ადგილებს, მაგრამ ერთხელ მქონდა ვრცლად აწერილი 1875 წ. „დროებაში“ წერილში „გზავრის შენიშვნები“ და ამიტომ ენლა გამოვრება საქიროდ არ დავინახე. ავტ.

მსმალეთშივე წასულა. ამას იქით მისი სადგური დაკეტილიაო, მხოლოდ სახლის წინ მაღალი თეთრი ანძა ამართული, რომელიც ამ სადგურის ვინაობას მოწმობსო. სოხუმში ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ეს კონსული უკან აღარ დაბრუნდება, თუმცა ოთხი თვის ვადით კი წავიდაო. არც დიდი საქირაა აქ მსმალეთის კონსული, ლეთის წინაშე.

იქიდანვე გვწერს კორესპონდენტი, რომ იქ ამ ვაზფუტულზე მისულა ექიმი მავალევი, რომელსაც რამოდენიმე დღითური ადგილები შეუძენია სოხუმის ერთ მაღლობ ადგილზე და გულ-სუსტ ადამიანებისათვის საავად-მყოფოს აშენებო. მს ამბავი ძრიელ სასიამოვნოა, თუ ძვირად არ დაუჯდათ იქ ექიმობა ავად-მყოფებს.

ბათუმიდამ გვწერენ, რომ ოლქის ექიმს შილინსკის შონის მავრავში, სოფ. ღიდ-მარადილში უნახავს მჟავე წყლები, რომელიც ქვიდამ ამოდიან ცერის სისხოდ და რომელიც დოქტორს შილინსკის ძალიან მოსწონება; ზელცერის წყლებს არ ჩამოუფარდება და დასუსტებულის კაცისათვის ძრიელ მარგებელი უნდა იყოსო. მს წყლები ბათუმიდამ 30 ვერსზეა შორის პირად, სოფ. ოცხებას ახლო. მითრად ამოუხრჩხებეს ქვებიდამ, მაგრამ, საცა გაუვლია რკინის ჟანგის ფერი მიუცია ქვებისთვის. სწორედ ასეთივე თვისებისანი არიან პოზს ახლო მჟავე წყლები, შაზბეგის მთის ძირს. ამავე ექიმს უნახავს პარჩხალის მთის ძირში (ეს მთა შავშეთისა და მრუშეთის შუა სძევს) წყალი, სახელად „ბაგინი“. მს წყალი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიდის, ერთვის შორის იმავე მთის ძირში. ამ წყლის პირში გამოდის ერთი აბანოს წყალი „მთინგო“, წყლის პი-

და მეფემ ისევ დაუბრუნა ძველი მამული და ახალიც ზედ დაურთო.

ამ ლაპარაკის დროს ჩვენ შევედით სოფ. მამარაშენში. მს სოფელი ეხლა პატარაა, დაფანტულია ვენახებში; ეს არის სადგური თთ. მახაბლებისა. მდებარეობს მდ. დიდი ლიხვის პირად. დაუფრებულია საქართველოს მეფის მამარის მიერ 1190 წ. მცხოვრებნი აწარმოებდნ ვაჭრობას ოსებთან და სხვა მცხოვრებლებთან იმ მთისა, რომელიც ჰყოფს რაქას იმერთში საკუთარ საქართველოსგან. არსებობა ქალაქისა (მამარაშენისა) ვაგებლდა ნახევარ საუკუნემდე. მეფე რუსუდანის, მამარის ქალის დროს, სულთანმა ჯალალ-ედინმა აღაოხრა იგი*). დიდებულ მეფე მამარს საუცხოვერ ადგილი აღმოუჩნევია საქალაქოდ. ჰავითაც, მდებარეობითაც იგი სხინვალს სჯობიან, რადგან მას მთა უფრო მარჯვე აქვს; თვით სოფელი ზედ ლიხზეა გადაკიდებული და ვასტქერის ს. ხეთის ტყიანს მთას. მტერს ისე ეჯავ-

*) იხ. პლ. იოსელიანის რუსული თხზულება: „города, существовавшие и существующие в Грузии“, გვ. 63.

რიდამ ორის ადლის მანძილზე, ცხელი არის 27°— გრადუსამდე. დოქტორს შილინსკის ეს აბანოს წყალი მოსწონება და უთქვამს, რომ ბევრი სხვა-და-სხვა ავად-მყოფობის გამკურნელიაო. ამას გარდა, მადას უღვიძებს კაცსაო. მს აბანოს წყალი ნწ ვერსზეა ბათუმიდამ. შხისტკის უფროსს მაიორს ახმედ-მუენდი ხლევშის უკვე ხელი მიუყვია ამ აბანოდამ გზის გაყვანისათვის ბათუმიდამ. მს სიგრცე სრულიად სწორე და ვაკე ადგილიაო, გვწერს კორესპონდენტი და, იმედია, გზაც მალე გაკეთდებაო.

ჩვენ ვავიგეთ, რომ მბილისის გრუჟაკის გამგეობას ვანუზრახავს არწრუნისეულის სახლის დაქირავება ბალითურთ, რომელიც ქარვასლასთან ერთად ჩვენს ბანკს დარჩა. როგორც ქარვასლის დღემდის ცარიელ რამდენიმე შინაგან მაღაზიებს, ისე ამ სახლსა და ბაღსა დამქირავებელი მუშტარი ბევრი ჰყავს, ასე რომ ბანკს ისლა დარჩენია, რომ აირჩიოს უფრო საიმედო და მეტი ფასების მძღვეელი და მათ მიაქირავოს ქარვასლის მაღაზიები და მოხსენებული სახლი თავის ბალითურთ.

ამიერ-ძავკასიის საჭილოქსერო კომისიას იელისის 26—29 რიცხვებში გამოუკვლევია მბილისში რამდენიმე ბაღების ყველა ვაზები, მაგრამ ჩილოქსერა არ აღმოუჩნია.

ბაზ. „ძავკას“ ვაუგონია, რომ საექიმო დეპარტანენტს მიუწდვია დოქტ. ძასტორსკისათვის ბაღდაღში წავიდეს იმ უამის გამოსაკვლევად, რომელიც, როგორც მკითხველს მოეხსენება, ეხლა-სამინლად მძინვარებს იქ. ბაზეთის სიტყვით, ბ. ძასტორსკი ეხლა მბილისში ყოფილა გზად.

„ბაქოს უწყებების“ სიტყვით, იქა-

ერებოდა თავის შემმუსრავი ძლიერი მეფე მამარის სახელი, რომ მის მიერ აშენებულ ქალაქში ქვა-ქვაზედაც აღარ დაუყენებია, მიუწგრ მოუწგრე-ვია იგი. ამ მამარაშენში ახალ დრომდე სახლებულან სომხები და ურიები, რომელნიც ჩასულან სხინვალში.

მამარაშენს აკრავს აჩაბეთი, სადაც მახუშტის სიტყვისამებრ ყოფილა „სახლედ და ციხე მეფეთა“; ზემოდ არის ს. შურთა და შემდეგ ქეხვი. მს სოფლები არიან წამწკრივებულნი ლიხვის პირად; მეორე მხარეზედაც ამავე მდინარეს აქვს მოკრული აგრეთვე სოფლები, ასე რომ ლიხვი ჩამოურბის სოფლებს შუაში. სოფელი აჩაბეთი სახაზინოა, გლეხობა აქ კარვად სდგას; სახლები სუფთა, მაღალი და ფიცრული უდგიათ; შეხვდებით ქვის სახლებსაც. საზოგადოდ დიდი ლიხვის სოფლები, მისი მცხოვრებლები ძალიან ირჩევიან პატარა-ლიხვის და მდ. მეჯუდის სოფლების და მის მცხოვრებთაგან. დიდი-ლიხვის მცხოვრებნი გლეხნი უფრო მაღლა სდგანან ეკონომიურად; ამათ უფრო ნაკლებად გამოუყვლიათ ტანჯვა ეკონომიური უს-

ური ქალაქის თავი მკურნალობდამ სწერს ბაქოელებს, რომ კომისიას ააცილებელ საქირობად არ დაუნახავს გზების გაკეთება ნავთის ქარხნებთან მისასვლელად. სურამზე ნავთის გასაყვანი მილის გაკეთებაც სასარგებლოდ არ დაუნახეთ, ასე რომ წინადადება მისს გაყვანის თაობაზე არ იქმნებოა შეწყნარებული. თვით წინადადების ავტორს ბ. ნობელსაც ასე ჰგონიაო.

„დროის“ კორესპონდენცია

გურია, ივლისის 18-ს. შოველ საქართველოს კუთხეს ეტყობა ცოტ-ცოტათი წინ მსვლელობა, როგორც სწავლა განათლებით, ისრე ეკონომიურის მხრით და ჩვენს ბურთას კი აღაზაფერი არ ეშველა; ეს მხარე იმდენად ჩამორჩა სხვა თავის მოძმე მავრებს, რომ გვეგონება საშუალ საუკუნოების ხანა ახლა დადგა მისთვისო. მსლანდელი აქაური ვითარება ნამდვილად წარმოგვიდგენს რეფორმაციის დროს, როცა ინკვიზიტორების ცეცხლი მუსრავდა ვანუზრჩველად მტყუანს და მართალს, სწორედ დიდი გენიოსი უნდა იყოს აქაური აღმინისტრატორი, რომ სიმართლე ვიგოს და შეცდომაში არ შევიდეს. ზოგიერთების ნალაპარაკების ყურის-გდებით და აყოლით ზნეობა ძრიელ დაეცა, პატიოსნება აღარ არის, სიმართლე და ქვემარტება განდევნილია ბურიდგან და ნაცვლად ამისა ბოროტებამ და უპატიოსნებამ ვაიდა ფესვი; ძმას ძმაზე „დანოსი“ შეაქვს, მამა შეიღოს აბეზღებს და შეილი მამას და, ერთი სიტყვით, ერთი ერთმანეთის ამოსაგდებად და დასაჩაგრავად არავითარ საზიზღარ საქმეს არა თაკილობენ; აქაური სატუსალო დიდად განიჩევა სხვა მავრების სატუსალოთა-

წორ-მასწარობისა გამო. სახლები უდგიათ მომეტებულიად მიწის ზემოდ; თუმცა ვენახები უხვად არის, მაგრამ ლენოს მოვლას აგრე რივად არ მისდევენ. ამიტომ ამ ხეობის ლენო არის მჟავე. ამას ხელს უწყობს ჰავაც, რომელიც ერთობ გრილია და ყურძენი რივიანად ვერ მწიფდება. ლენის ხელი უფრო იციან სხინვალში, სადაც, ამისაგამო, ვენახები მრავლად არიან გაშენებულნი. სამახაბლოში, ს. ბუჯაბაურიდამ მოყოლებული, რომელიც მდებარეობს სხინვალიდამ სამხრეთით, ერთის ვერსის მანძილზე, მრავალი ხე-ხილია გაშენებული; იმიერ და ამიერ მდებარე სოფლები ამითი არიან შესანიშნავნი. ხილში შესანიშნავია მსხალი სხვა-და-სხვა ნაირი, ნამდვილი ქართული მსხალი, რომელიც ერთობ გემოიანია და მეორე წლამდე ინახება, და კაკალი. წელიწადში რამდენიმე ათასი ურემი უნდა წავიდეს ამ მხრიდამ ქალაქებში; მომეტებული ნაწილი მიაკვთ მბილისში. ჰველაფრით შემკობილია ეს ხეობა, მაგრამ მას აქლია საქანლის საძოვარი. მინდორი ისრე ვადანხული, რომ ერთს ცილა



გან თავისი აქრელებული მცხოვრებლებით: ვინ გნებავს, რომ აქ არ ნახოთ; ღვთისადმი ჩვენი მადიდებელი, კნენები, მოსწავლე ბავშვები, ვაჟები, სამხედრო და სამოქალაქო „სინკლიკოსანი“ (ჩინოვნიკები); აზნაურსა და გლეხებს ხომ ანგარიშიც არა აქვს.

არ ვიცი, ვინ იქნება იმისთანა მამულის მოყვარე კაცი, რომ შური არ აღეძრას, როცა კითხულობს „დროებაში“: მუთათის მარის უფროსის თანაშემწის ბ. ბაიას მეოხებით ამა და ამ სოფელში სკოლა გახსნეს, ბანკები დააარსეს; ხონის საზოგადოება პირობით შეეკრა ამიერ-ქავკასიის რკინის გზის კამპანიას და დ. ხონში რკინის გზის შტო შეჰყავთო. ჩვენში კი ამისთანა ქვეყნის საკეთილდღეო საქმეებისთვის ვის სცალია, რა ჩვენი საქმეა და ან ვინ გვყავს წინ-გამძღოლი. ხალხი, როგორც შევითავსებთ, ისრე გარყვნა და გაფუჭდა, რომ ერთმანეთის მტრობისთვის არ ერიდებიან არაერთარ სისამაგლეს; ადმინისტრაციას ილაჯი აღარ აქვს სოფელში ამ საქმეებისათვისაც იაროს; უამისოდაც ურიებისაგან დაბინძურებულ სოფელად, ხხრეკენ სახლებს და ადგენენ „პრიგოვორებს“. მიზეზი გაიდევრების ხრიკებია, მაგრამ სად არის გარჩევა და ან ვინ კითხულობს მართალსა და მტყუნასა. მოგვხსენებთ, ამღერეულ წყალში უფრო ბევრი თევზი დაიჭირება; შედის დანოსი: „ზოგამ თქვაო და ივანეცამ დამოწმაო, რომ მახარბელისას ფირალი (ყჩაღი) ენახეო, ან განაცარცვი ფულები აქვსო“, ან კიდევ „ზაბილას ეყურებია, როცა მსიკელი ლაპარაკობდა, რომ ზოგიეი პეტრეს მოკვლას დეეჟანდა“ და სხვა ამისთანა წილა-ღობილობით გავსებული დანოსები. რასაკვირველია, ამისთანა დანოსებს თუ უყურა და მიჰყვა კაცი

და სხვა საშუალება არ იხმარა, უფრო უარესად გაირყვნა და წახლება ხალხი და უფრო-და-უფრო გახშირდება ავაზაკობა და ურთი-ერთ შორის მტრობა.

ბევრი პატიოსანი და ხასიათ გაუფუჭებელი კაცი სასოწარკვეთილებში შეჰყავს ცხლანდელ შურის მდგომარეობას, მაგრამ არ ეფიქრობ, რომ შურია არ გასწორდეს და არ წავიდეს წინ, უკეთუ ადმინისტრაცია, ადგილობრივი მთავრობა და საზოგადოების მოთავე კაცნი სხვა მიმართულებას დაადგებიან. ეს მიმართულება უნდა გამოიხატოს სწავლა-განათლებისა და მეურნეობის გაუმჯობესებაში. აი ეს არის უპირველესი იარაღი ხალხის დამშვიდებისა და ხნობით ამაღლებისა და, დარწმუნდით, ვერც „პრიგოვორით“ გადასახლება და ვერც სატყუალში დამწყვედევა ვერ გასწორებს ისე კაცს, როგორც აღწრდა, განათლება და განვითარება. ამით შეიძლება დამყაროს კაცმა შურიაში მშვიდობიანობა და მოსპოს განხეთქილება და პარტიობა, მაგრამ ამას უნდა დიდი დიოგნოზი, რომ დაწვრილებით მიხედეს ცხლანდელ შურის სენს და გამოცდილი ექიმი, რომ განკურნოს იგი ამ სენისაგან და არა სოფლის მკითხვები, რომელნიც საუკუნო განკურნების საშუალების ნაცვლად იმისთანა ბალახ-ბულახს ხმარობენ, რომ უფრო აძლიერებენ სენს და ამით, რასაკვირველია, თვით სარგებლობენ.

წრეთულის სამოქალაქო სასწავლებელში 20-მდინ შეასრულეს კურსი, აგრეთვე სასულიერო სასწავლებელში; ბევრს აქვს შედეგა, რომ განაგრძოს სწავლა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ვინ არის მჩიეველი და ან შემწე დანარჩენ ღარიბებისა, რომ ისინიც წავიდენ სწავლის დასამთავრებლად. ბევრად უმჯობესი იყო სულ არაფერი ესწავლათ ამ უკანასკნელებს,

ადგილს ვერ იპოვიან თავისუფლად. აქედე კარგი, რომ წვრიმალეები *) ახლო-ახლო აქეთ ამ ხეობის სოფლებს, თორემ საქონელი დიდ გაჭირებაში იქნებოდა. საზოგადოდ ვაკე ქართლი ვერ დაიკვებებს საძოვარს. ამიტომაც არის, რომ საქონელის ყოლას არ მისდევენ; ჰყავთ იმდენი, რაედენიც საჭიროა საშუალოდ. შუინ ეს ხეობა, რომელიც აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით შემოზღუდულია ტყიანი მთებით, შემოსილი ყოფილა ტყერით. მხლა კი ის გაჩნებია, გაწვრიმალეებულა. მთიდანამოსული ოსები ჩაუყენებიათ და ამათ უწყალო ხელს შეუშუბრნია, გაუკაფავს და ფესვიანად ამოუწვავს ტყე. ისრე უღვთოდ არა კაცი არ ეკიდება მამულს, როგორც ოსი-ხიზანი. მართველი კაცი გაჰყავს ტყეს, ანუ ქალას, ჯაგებს და ჯირკვებს ამოიღებს ძირიანად წალდის

შემწეობით. შრიად იშვიათ შემთხვევაში მიჰმართავს ქართველი გლეხი საშინელს მტერს ნიადაგისას, - ცეცხლს. მსი კი არ ზოგავს; წაუყიდებს ამ უკვლავ, შეილიდარს ტყეს ცეცხლს და სულ ერთიანად გადაჰუგავს. ცეცხლი ანადგურებს ხომ ტყეს, ეს არაფერი, უღვეს ნიადაგს სინოტივეს. ამ გვარად გაახოვებული მიწა ვარგისობს ბევრი-ბევრი ოთხი-ხუთი წელიწადი; შემდეგ ელვეა მას ძალა და ისე ელვეა, რომ არა ვითარიმე მცენარე აღარ ამოდის გადამწვარს ადგილზე. ნიადაგი ისრე უხვიერდება, რომ გუთნას აღარ შეესვლება; მიწა დამეგანება ხოლმე გამოფუჭებულ, გადღუღლებულ რკინის ქანგს, რომელსაც რკინა მოიძრობს ხოლმე დიდის სახმელის ცეცხლის შემდეგ. როდესაც სიქა გამოელვეა ნიადაგს, ოსი მიდის დედა-ბუდიანად სხვაგან, სხვა მებატონესთან, ვისთანაც იმავე მეთოდით, იმავე ჯურით ართმევს მიწას სანოყიერეს. მოგზაურის თვალს ხშირად შეხედება ამ გვარად გადატრუსული, სიქა-გამოხრწილი, გაახოვებული ადგილები ქართლის

*) წვრიმალას ეძახიან თხელ ტყეს, სადაც წვრილი საწვავი ხე სდგას; დანარჩენი ადგილი წარმოადგენს ჯაგებს, რომელთაც უჩინად ხმარობენ.

თუნახევარ გზაზე შეჩერდებოდენ, რადგან, დარწმუნებული ვართ, რომ მიხედვენი ღიღების მაგალითს და ამით უფრო გამოავლდებიან „დანოსის“ მწერლები და სოფლის-ქამია გაიდევრა ადვოკატები, რომელთა მეოხებით ეს 3-4 წელიწადია გაჩნდა პარტიობა და აირია სრულიად შურია. დიდი ხნიდან ცნობილია, რომ ზოგიერთი ჩვენი მსურვეთის „კურსოვნიკთაგანი“ თავის სწავლას ხმარობს არა საზოგადოების სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ, არამედ საწებლად და ერთმანეთის სამტროდ.

იქნება, იფიქროს ვინმე, რომ ასრე შურის დაცემის მიზეზი იყვეს ჩვენი სიზარმაცე და სიღარიბე; არა, არ იფიქროს: ეხლა შურულები დიდ მოძრაობაში არიან, ბევრს შრომობენ, ფულებსაც ბევრს ხარჯავენ, მაგრამ იცით რისთვის? მისი ამოსაშაველად, მებზობლის წასახდენად, მოყერის, დღეს მისის დაუძინებელის მტრის, ამოსაგდებად. რა უჭირს ბურჯის, რომ მიხედოს ხონის მაგალითს და შემოიკვანოს მსურვეთში რკინის გზის შტო; ეს სწორედ დიდად საჭიროა სრულიად შურისათვის; რაც დიდი გაშენებული სოფლები და დაბებია ყველა შვით დანარჩუნა რკინის გზამ. მსურვეთზედ 20 ვერსტზედ არის მოშორებული; ეს ორი წელიწადია რაც რკინის გზა გავიდა და ჯერ სტანციასზედ მიმავალი გზაც არა გვაქვს, ისე რომ ბათუმის რკინის გზით ჯერედ ვერაფერს ვსარგებლობთ: მუთათისში ისევე ორი დღე გვინდება, სამტრედით დავდივართ და ბათუმში პირდაპირ ცხენით; ამდენსხანს ვერაფერი სარგებლობა მოგვიტანა რკინის გზამ, ახლაც სულ ვერ მოგვიტანს, შტო თუ არ გვექნა.

ამტრთმა ქნას, რომ ბურჯის შეგნოს თავის თავის მდგომარეობა; ნუ

მთებში. მართველია გლეხმა მამულის ყადრი იცის; იმას შეილწე მომეტებულად უელის და მიეკერის იმ ალაგას, სადაც მას ნაამაგდარი მამულისთვის შრომის ოფლი უწვიმებია.

იმ საღამოს, როდესაც ჩვენ ს. მურთისაკენ მივდიოდით, თირის მონასტრისკენ, ჩრდილოეთის მხრივ, ოსებს ცეცხლები წაეკიდებინათ ტყეებისათვის. ამ გვარად ტყეების გაწყობის მიზეზად ხდებიან თვით მამულის პატრონები. მისაც მათგანს ესმის ტყის ღირსება და მნიშვნელობა, ხომ ამ ბოლოს ვაჟს დაუწყებს გაფთხილება. მისაც სული უყივის სიღარიბისაგამო, ის უწყალოდ აწვევინებს და ნვესის დანაფასვეს კი იღებს. აქ მუშაობს ქართული ჯიბრი. ჩემი შენ ვითხარ და გული მოგიკალიო, სწორედ ასეა ჩვენი ნაბატონრების საქმე. მამულ-ადგილის საქმე განუსაზღვრელ მდგომარეობაში იმყოფება. საიღამ საღამდინ არის, ვსტკვათ, ჩემი საკუთრად მთა და ბარი, არ ვიცი. მე ვუბძანებ და სადაც მსურს გავახოვებინებ მამულს, ჩემის სახლისკაცისაგან დაჩემებულს. ის კიდევ ჩემ-

თუ არ არის მოსაწყენი, ამოდენი ურთიერთშორის პარტიობა და დავიღარება? იმედია, ადმინისტრაციაც დაადგება სხვა გზას და უსათუოდ შეატულებს ხალხს დღევანდელ მის საქციელს და მერმედ თვითონ საზოგადოებაც დიდ შემწეობას აღმოუჩენს ყოველსავე საქმეში. მხალი ქვეშარიტებაა, რომ ბევრად უფრო ძვირფასია და სასიქადულო ჯილდო, ადებული მისი მდგომარეობის განკარგებისათვის, ვიდრე მის დასალოჰავად და საწებლად.

მ.... კლი.

მ. მ. ბურჯისი რომ მართლა ხალხი გაფუჭდა და დეცა და ზოგიერთნი უარესად ჰრყენიან და ავრცელებენ ავაზაკობას თავიანთ დასაჯილდოებლად, ამას გვიმტკიცებს ერთის მოხელისაგან სამი დღის მკედარი ფირალის მოკვლა, რომელიც თქვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული. მრთამის აღებას და ჯაშუშობის გავრცელებას ხომ სამხლვარი აღარა აქვს.

მ.... კლი.

დღევანდელი მსოფლიო

ცელეკრები

(„ჩრდილოეთის სარგებლობა“)

ივლისის 31

ამბიპოზი გუშინ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატორიცა და დიდნი მთავარნი მოვიდენ კრასნოვსკის ბანაკში; ვოგზაღზე მიეგებნენ მათ დიდებულებათ და უმაღლესობათ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრესძე, ჯარის უფროსნი და ადგილობრივი მთავრობა; კრასნოსედლოს გლეხთა დეპუტაციამ შურმარილი მიართვა მათ; ბანაკის დათვალიერების დროს მის დიდ-

სას გაახოვებინებს ცეცხლის შემწეობით, და ესრედ მიდის ეს წესი და ივლის კიდევაც უკუნიით უკუნიამდე, ვიდრე აწინდელი მამულის უთავდარიგო მოკლას და მფლობელობას ბოლო არ მოელება. შეშმარიტად საშინელი ბოლო მოკლის საქართველოს ტყეების აღზოციოთ; ამ შემთხვევამ არა ერთხელ გამოიწვია ჩვენს ქურთალისტიკაში გულისკლავი მსჯელობა, მაგრამ იგი დაშთა ხმად, მღაღღებლად უღაბოსა შინა.

თავად-აზნაურობა, რომელიც არის მფლობელი მთა-ბარისა, ამ ბოლოქამს შეუდგა ტყის დაცვას; სასიხარულოდ ჩვენდა, ბევრმა მათგანმა მიჰცევა თვალ-ყური ამ საგანს და აღარ აწვევენ-აჩენებენ უთავბოლოდ. თუმცა გვიან მოვიდენ გოჯს, მაგრამ საშუალოდ ტყეების გამოსაღმებას თუ დავეწვეით, სიგვიანეს ვინა იჩივლებს.

(შემდეგი იქნება)

